ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4595406

ნომერი: AR1692045

თარიღი : 04.07.2019

გაცემის თარიღი : 18.07.2019

გაცნობის თარიღი : 19.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირინა გელაშვილი პ/ნ 57001011177
- ზაზიაშვილის ქუჩა 7

ორგანიზაცია:
- შპს მეტი დეველოპმენტი კოდი: 402044514

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 04 ივლისს №AR1692045 განცხადებით მომართა ირინა გელაშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.72.14.040.690), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2019 წლის 28 ივნისის №4565857 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 ივნისიდან 2021 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირების დროს წარმოდგენილ მე-6 სართულის გეგმაზე 3-4 ღერძებში გამორჩენილია ფრანგული აივნების დაფიქსირება და აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს, 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმებული +16.500 ნიშნულზე მდებარე VI სართულის გეგმის და ფასადის (1-6 ფასადი) ჩანაცვლებას 2019 წლის 04 ივლისს №AR1692045 განცხადებაზე წარმოდგენილი შესწორებული გეგმით და ფასადით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს, შესაბამისად ვინაიდან, შეთანხმებულთან მიმართებაში შეცვლილია გეგმარება, აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი 2019 წლის 30 მაისის №4506878 ბრძანებაში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის